# საქართველო
# ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი კოსტავას ქ.№1 11 მარტი 2013 წელი

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №58

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების თაობაზე**

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუქტის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ლ“, „ს[1]“ ქვეპუნქტების, მე-10[1] (პრიმა) მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

*ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ*

**მუხლი 1.** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ გამარტივებული შესყიდვის დაუყოვნებლივ განხორციელების და გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] (პრიმა) მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, განხორციელოს, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სახანძრო ავტომობილის (მოდელი „ზილ” 130) ტექნიკური მომსახურებისა და შეკეთების ჩატარების გამარტივებული შესყიდვა, ავტომობილის მზადყოფნის უზრუნველყოფის მიზნით.

**მუხლი 2.** დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შესყიდვების და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურს (ა.გირკელიძეს) მიღებული ბრძანების თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობოს კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს.

**მუხლი 3.** ბრძანება გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას.

**მუხლი 4.** ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ი.სიორიძის ქ. №14)

**მუხლი 5.** ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარე:** **ალეკო მამეშვილი**